# ხელშეკრულება №199
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი

19 დეკემბერი 2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–2 თავის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის 2014 წლის 18 ნოემბრის №19 ოქმის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 24 ნოემბრის №01-06/1077 ბრძანებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 დეკემბრის №179 განკარგულების თანახმად, ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სულხან ევგენიძის სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი ენვერ ცეცხლაძე (პ.ნ. 61004006040) (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ენვერ ცეცხლაძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოებს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო"– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სოფელ აჭყვისთავში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებები (CPV 45112400 - საექსკავაციო სამუშაოები).

2.2. შესასრულებელი სამუშაოების ზუსტი დასახელება, ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ს მიხედვით.

### 3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები უსაფრთხოების პირობების დაცვით;

3.2 უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

3.3 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიღება და შემოწმება ხორციელდება შესრულებული სამუშაოების ადგილზე.

4.3 სოფელ ქაქუთში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოების მიღებას ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ აჭყვისთავში,

მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

## 5. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 180 (ასოთხმოცი) ლარს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით (ქობულეთის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი, ბრძანება №01-06/1077, 24 ნოემბერი 2014 წელი).

5.2 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

## 6. ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანა

6.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სისტემაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში.

6.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 100 ლარის ოდენობით,

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველი მისი წარმომადგენლის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების კონტროლს.

8.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ აჭყვისთავში.

## 9. დაუძლეველი ძალა

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი ძალის გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

**10. ხელშეკრულების მოქმედების და სამუშაოს მოწოდების ვადები და პირობები:**

10.1. სამუშაოს მოწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღე.
10.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

**11. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები**

11.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
11.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LB0120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი **247001890**;
11.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

**12. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები**

12.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქობულეთი, სოფ. მუხაესტატე.
12.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი LBRTGE22, ა/ა GE78 LB07 1119 5351 3180 00, ს.ნ. 61004006040;
12.3 „მიმწოდებელი" – ფიზიკური პირი ენვერ ცეცხლაძე

**„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი**

გამგებელი სულხან ევგენიძე

**„მიმწოდებელი" – ფიზ. პირი ენვერ ცეცხლაძე** **ენვერ ცეცხლაძე**

ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოს დასახელება | გაზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფელ აჭყვისთავში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები | დღე | 1 | 180 | 180 |

ფიზ. პირი ენვერ ცეცხლაძე

ენვერ ცეცხლაძე

# ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქობულეთი

19.12.2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ სოფელ აჭყისთავში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების შესყიდვის განხორციელებაში, ფიზიკური პირი „ენვერ ცეცხლაძე"-ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

გამგებელი

სულხან ევგენიძე